




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ ა ი ტ ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 **თორნიკე შერმადინი**
22 03

„-----“-----“ 2017 წელი

ვგზ. N2

შპს „მექანიზატორი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N14/36

2012, 2013 და 2014 წლების საანგარიშგებო პერიოდებისათვის

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
რეკომენდაციები.....	4
აუდიტის მიზანი.....	5
აუდიტის მასშტაბი	5
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივების მართვა.....	7
განუხორციელებელი ინვენტარიზაცია	7
აქტივების დაბალი უტილიზაცია.....	7
ხარჯების დამადასტურებელი არასრულყოფილი დოკუმენტაცია	8
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივებით მიღებული შემოსავალი.....	8
კონტროლის მექანიზმების სხვა სისუსტეები.....	9
აუდიტორთა ხელმოწერები:	10

შემაჯამებელი მიმოხილვა

აქტივების მართვა

შპს „მექანიზატორის“ ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფერმერთათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ბალანსზე ერიცხებოდა დაახლოებით 200,000,000 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელთა ინვენტარიზაციაც წლების განმავლობაში არ განხორციელებულა, შესაბამისად კომპანია არ ფლობს სრულ და ზუსტ ინფორმაციას მის ბალანსზე რიცხული ტექნიკა-იმპლემენტების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ.

კომპანიის ზოგიერთი ტექნიკა-აგრეგატის უტილიზაცია საკმაოდ დაბალია. მაგალითისთვის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ კარტოფილის მოსავლის ამღებ ტექნიკას, ქვის ამკრეფ ტექნიკასა და თვითმავალ სათიბელას. აღნიშნული ტექნიკა აგრეგატები კომპანიამ ჯამურად შეისყიდა 3,000,000 ლარად ხოლო წლის განმავლობაში აღნიშნული ტექნიკით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 12,000 ლარი (0.4%).

შემოსავლები

კომპანიის ბუღალტრული მონაცემებით, 2014 წლის განმავლობაში სულ მიღებული აქვს 19,736,259 ლარის ოდენობის შემოსავალი, თუმცა ეს რიცხვი არ ედრება კომპანიის მიერ შედგენილ ხელშეკრულებების რეესტრს. ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას აქვს არასისტემატიზებული ხასიათი.

შემოსავლების სრულად აღრიცხვის მიზნით, კომპანიაში არ არის დანერგილი ადექვატური კონტროლები, შესაბამისად მაღალია ტექნიკა-იმპლემენტების არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

შეძენილი აქტივების რაციონალურად გამოყენების მიზნით, შპს „მექანიზატორმა“ ახალი ტექნიკა-აგრეგატების შეძენამდე სასურველია ჩაატაროს კვლევა რამდენად მოთხოვნადია ესა თუ ის აგრეგატი მომსახურების ბაზარზე და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოს შესყიდვა.

რეკომენდაცია N2

შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობამ შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით დანერგოს შესასრულებელი აგრო ოპერაციის ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რომელიც მიმდინარე რეჟიმში ასახავს დამკვეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ანგარიშსწორების პირობებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას რაც უზრუნველყოფს ოპერატორების ეფექტურ კონტროლს და კოორდინირებულ მუშაობას.

რეკომენდაცია N3

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მომსახურების სფეროში გამოსაყენებელი ტექნიკა-იმპლემენტების მართვის გაუმჯობესებისა და მისაღები შემოსავლების შესაძლო დანაკარგების აცილების მიზნით, შპს „მექანიზატორის“ მიერ შემუშავებულ იქნას წესი, რომელშიც გაწერილი იქნება განსახორციელებელი საქმიანობისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცედურები.

აუდიტის მიზანი

შპს „მექანიზატორის“ (შემდგომში „კომპანია“) 2012, 2013 და 2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი აქტივების მართვა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივებით მიღებული შემოსავალი (დამკვეთებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში).

მასშტაბის შეზღუდვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის¹ შესაბამისად, შპს „მექანიზატორის“ შესაბამისობის აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2012, 2013, და 2014 წლების საანგარიშგებო პერიოდი. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს 2013 წლის 16 მაისის ამოღების ოქმით, შპს „მექანიზატორიდან“ ამოღებულია საწარმოს დარეგისტრირების დღიდან 2013 წლის 14 მარტამდე პერიოდის ამსახველი სრული სააღრიცხვო და იურიდიული (ოფიციალური და არაოფიციალური) დოკუმენტაცია, მათ შორის ელექტრონული ფორმით. გარდა ამისა, კომპანიამ ვერ შეძლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოეწოდებინა 2013 წლის 14 მარტიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის ინფორმაცია. არსებული მასშტაბის შეზღუდვიდან გამომდინარე, აუდიტორებს მიეცათ შესაძლებლობა შემოწმებულიყო მხოლოდ 2014 წლის საანგარიშგებო პერიოდი.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება N70;
- კომპანიის მიერ შემუშავებული და დანერგილი შიდა კონტროლის პროცედურები და წესები.

¹ 31.12.2014 ბრძანება N262/37

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4000).

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ „აუდიტის საგანი“ არ შეიცავს „კრიტერიუმებთან“ არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

კომპანიის დაარსების მიზანი იყო საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფა.

კომპანია საქმიანობს აგრარულ სექტორში და მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს. კომპანიას აქვს 13 სერვის-ცენტრი და მათ დაქვემდებარებაში არსებული 150 ბრიგადა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მცირე და მსხვილი ფერმერების მომსახურება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.
 - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა (ფერმერთა) ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციის გაწევა და ტრენინგების ჩატარება.
 - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.
- კომპანია ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს 80-მდე სახეობის სხვადასხვა აგრო ოპერაციას.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივების მართვა

განუხორციელებელი ინვენტარიზაცია

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერიცხებოდა 199,219,311 ლარის ღირებულების ტექნიკა-იმპლემენტები. 2012, 2013 და 2014 წლებში არ ჩატარებულა ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების² შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა სამეურნეო წლის ბოლოს.

გამომდინარე იქიდან, რომ არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, შეუძლებელია 2012, 2013 და 2014 წლებში არსებული ტექნიკა-იმპლემენტების არსებობისა და ტექნიკური მდგომარეობის დოკუმენტური დადარება ბუღალტრულ მონაცემებთან. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიის ბალანსზე რიცხული ტექნიკა-იმპლემენტების რაოდენობა არ შეესაბამებოდეს მათ ფაქტობრივ რაოდენობას და მდგომარეობას.

აქტივების დაბალი უტილიზაცია

კომპანიის გარკვეული ტექნიკა-აგრეგატების უტილიზაცია საკმაოდ დაბალია. მაგალითისთვის ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია გარკვეული ტექნიკის უტილიზაციის პროცენტული მაჩვენებლები. ცხრილიდან ჩანს, რომ კომპანიის ბალანსზე რიცხული 15,067,284 ლარის ღირებულების ტექნიკა-აგრეგატების მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა, მხოლოდ 367,798 ლარი (2.44%) შეადგინა:

² საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 15

ტექნიკის დასახელება	ტექნიკის ღირებულება	მიღებული შემოსავალი	პროცენტული შეფარდება
თვითმავალი სათიბელა	396,177	461	0.12%
კარტოფილის მოსავლის ამღები	1,688,343	7,578	0.45%
ქვის ამკრეფი	915,333	4,345	0.47%
რულონური ამკრეფ-დამწნეხი	1,052,324	6,090	0.58%
კარტოფილის სარგავი	1,923,273	19,189	1.00%
ჩითილების სარგავი	1,134,899	35,565	3.13%
სილოსის მასის ამღები	2,599,782	88,734	3.41%
მინდვრის შემასხურებელი	5,357,153	205,836	3.84%
სულ	15,067,284	367,798	2.44%

რეკომენდაცია N1

აქტივების რაციონალურად შესაძენად, შპს „მექანიზატორმა“ ახალი ტექნიკა-აგრეგატების შეძენამდე სასურველია ჩაატაროს კვლევა რამდენად მოთხოვნადია ესა თუ ის აგრეგატი მომსახურების ბაზარზე და მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს შესყიდვა.

ხარჯების დამადასტურებელი არასრულყოფილი დოკუმენტაცია

2014 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა-იმპლემენტების მიმდინარე რემონტისთვის მესამე პირებისგან შესყიდულია 871,136 ლარის მომსახურება. შპს „მექანიზატორის“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ღირებულების მცირე ნაწილზე ხარჯების გაწევის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დეფექტური აქტები. დეფექტური აქტების ნაცვლად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად შედგენილია დოკუმენტაცია უკვე შესრულებულ სამუშაოებზე (სერვისის განაცხადი, გასვლითი მიღება-ჩაბარების აქტები). თითოეული შემთხვევისთვის დეფექტური აქტის შედგენა შეამცირებს არამართებული ხარჯების გაწევის რისკს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივებით მიღებული შემოსავალი

- შპს „მექანიზატორი“ შემოსავლების აღრიცხვის მიზნით აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით გაწეული მომსახურებების რეესტრს, რომელიც არ არის სრულყოფილი. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფაქტობრივად მოწოდებული ხელშეკრულებების ნაწილი საერთოდ არ იყო ასახული აღნიშნულ რეესტრში.

- ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულების ორივე მხარეს (დამკვეთი და შემსრულებელი) ხელს აწერენ ოპერატორები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევას. ასევე რიგ შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებისას ანგარიშსწორება წარმოებს უშუალოდ ოპერატორებზე ხელზე გადახდით. შესაბამისად არსებობს რისკი, რომ ოპერატორებმა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ნაცვლად ხელშეკრულებაში

ასახონ ნაკლები ღირებულების ოპერაცია და შესაბამისად ნაკლები თანხა შეიტანონ კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

- რიგ შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტები კომპანიის მიერ ფორმდება მომსახურების გაწევამდე, რამაც შესაძლებელია განაპირობოს ფაქტობრივად საბოლოოდ შეუსრულებული სამუშაოების დოკუმენტური დადასტურება როგორც შესრულებული სამუშაოებისა. აღნიშნული ხელს უშლის მენეჯმენტის სისტემატიზებულ მუშაობას. კერძოდ, წინასწარ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შემთხვევაში, მენეჯმენტს გააჩნია მცდარი ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შედეგად გამოთავისუფლებული რესურსის სხვა მომსახურებისათვის გამოყენების შესაძლებლობაზე. მითითებული მდგომარეობის შედეგად კი, ვერ განხორციელდება ტექნიკა-იმპლემენტების სწორი მობილიზება და შესაბამისად მისაღები შემოსავლების ზუსტი დაგეგმვა.

ასევე შესაძლებელია მიღება-ჩაბარების აქტის წინსწრებით გაფორმების შედეგად ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო იყოს იმაზე მეტი ვიდრე ეს მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმდა. აღნიშნული ფაქტის არსებობის შემთხვევაში კომპანია დაკარგავს მისაღებ შემოსავლებს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, კომპანია ვერ აკონტროლებს შემოსავლებთან დაკავშირებულ პროცესებს, რაც იწვევს შემოსავლების არასრულად აღრიცხვას და შემოსავლების დაკარგვის რისკს.

რეკომენდაცია N2

შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობამ შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით დანერგოს შესასრულებელი აგრო ოპერაციის ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რომელიც მიმდინარე რეჟიმში ასახავს დამკვეთებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ანგარიშსწორების პირობებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას რაც უზრუნველყოფს ოპერატორების ეფექტურ კონტროლს და კოორდინირებულ მუშაობას.

კონტროლის მექანიზმების სხვა სისუსტეები

- შპს „მექანიზატორის“ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს „უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის განყოფილება“, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია შპს „მექანიზატორის“ ტექნიკის საქმიანობის პირდაპირ რეჟიმში GPS-ის საშუალებით შემოწმება. აღნიშნული განყოფილებისთვის არ არის შემუშავებული პოლიტიკა და სამუშაო პროცედურები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი შპს „მექანიზატორის“ 2014 წელს მოქმედი დებულება, სადაც გაწერილი იქნებოდა შესაბამისი სამსახურების ფუნქცია-მოვალეობები.

- გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის მიერ GPS მონიტორინგისთვის არ არის განსაზღვრული პროცედურები და დამკვეთებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებების აღრიცხვა არ ხორციელდება სისტემატიზებული ელექტრონული ფორმით, მონიტორინგის ჯგუფს არ აქვს საშუალება მიმდინარე რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ, რაც ზრდის ოპერატორების მხრიდან კომპანიისთვის მისაღები შემოსავლების მითვისების რისკს.

- სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული მომსახურების ფარგლებში, კომპანია ვერ ახდენს სისტემატიზებულად დასამუშავებელი მიწის ფართობის ზუსტ განსაზღვრას. ტექნიკას არ გააჩნია შესაბამისი ფუნქცია, ხოლო მონიტორინგი (GPS მოწყობილობით) ხორციელდება ყოველი

თვის ბოლოს, რომელიც მოიცავს შესრულებული სამუშაოს მცირე რაოდენობის გადამოწმებას. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიის რეალურად შესრულებული სამუშაო აღემატებოდეს მიღებულ შემოსავალს.

- შპს „მექანიზატორში“ არსებობს რისკი რომ ხელშეკრულება დამკვეთთან გაფორმდეს შედარებით ნაკლებ ფასიან მომსახურებაზე, ხოლო რეალურად განხორციელდეს უფრო მაღალი ფასის მომსახურება. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანიაში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

- კომპანია არ აღრიცხავს სერვის-ცენტრებს შორის ტექნიკა-იმპლემენტების მოძრაობას. ასევე არ არსებობს ინფორმაცია მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

- კომპანიის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა-იმპლემენტებით გაწეული მომსახურების მონიტორინგის პოლიტიკისა და პროცედურების არარსებობა განაპირობებს აუდიტის მასშტაბისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობის შეზღუდვას. აგრეთვე, მონიტორინგის ელექტრონული (GPS სისტემა) ბაზის მონაცემები არ იძლევა კომპანიის მიერ განხორციელებული მომსახურების შესაბამისობის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას.

რეკომენდაცია N3

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მომსახურების სფეროში გამოსაყენებელი ტექნიკა-იმპლემენტების მართვის გაუმჯობესებისა და მისაღები შემოსავლების შესაძლო დანაკარგების აცილების მიზნით, შპს „მექანიზატორის“ მიერ შემუშავებულ იქნას წესი, რომელშიც გაწერილი იქნება განსახორციელებელი საქმიანობისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცედურები.

აუდიტორთა ხელმოწერები:

მამუკა გოგოხია
(წამყვანი აუდიტორი)

შმაგი ჯოჯიშვილი
(აუდიტორი)

გიორგი ჭანტურია
(აუდიტორ ასისტენტი)

ნიკოლოზ ანთაძე
(აუდიტორ-სტაჟიორი)

